წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ **გონერი კვარაცხელია**
თანამდებობის დასახელება_ **საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე.**
ფრაქციის დასახელება ___**ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“.**
კომისი(ებ)-ის დასახელება-**საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია და შპს „ენგურესთან“ დაკავშირებით შექმნილი დროებითი კომისია**
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -**პროპორციული.**
საანგარიშო პერიოდი_ **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე.**
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ **რიგითი**

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 23

საკრებულოს სხდომებზე დასწრება ____ 23

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 27 მ/შ დროებითი კომისიების _ 4

კომისიის სხდომებზე დასწრება ___18 მ/შ დროებითი კომისიების _4

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _12

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _ 12

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესახებ;
- შესყიდვების გეგმის შესაბამისად, 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ;
-გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;
-საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში)არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
-შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

- „შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N22 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის საქმიანობის ვადის გაგრძელების თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე;
-სქური, ერიწყალი, მუჟავა, წყოუში ფახულანის მოსახლეობის ქ.წალენჯიხასთან საზოგადოებრივი ტრანსპორტით დაკავშირების სუბსიდირების საკითხის გადაწყვეტა, სოც.დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებიდან წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება . მრავალშვილიანი ოჯახების (ოთხი და მეტი შვილი) თითოეულ ბავშვზე დაფინანსების 30-დან 50 ლარამდე გაზრდა.
-და სხვა საკითხები...
5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _22 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -520.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები -მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ქ.წალენჯიხაში სხვადასხვა ლოკაციაზე სპორტული მოედნების მოწყობა, ცნობილი ადამიანების სახლ-მუზეუმების შენობა-ნაგებობებისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით გამოყოფილი თანხების გაზრდა, ქ.წალენჯიხაში და ქ.ჯვარში საკანალიზაციო სისტემის მოგვარება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე პრობლემის გადასაჭრელად საკითხის დასმა. კომისიებისა და საკრებულოს სხდომებზე პრობლემის გადასაწყვეტად საკითხის წამოწევა. მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად საკრებულოს წინაშე ინიცირების წარდგენა. საკრებულოს წინაშე დასმული შემდეგი საკითხები იქნა დადებითად გადაწყვეტილი: შპს „ენგურჰესის“ ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, მრავალშვილიანი ოჯახების თითოეულ ბავშვზე 30-იდან 50 ლარამდე გაზრდა და სხვა საკითხები...

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე ვარ, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 12 ფრაქციის სხდომა. ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები. დასახული იქნა მათი გადაწყვეტის გზები. ფრაქციის სხდომებზე მოსმენილ იქნა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ საბავშვო ბაღებში ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარე საკითხები, მიღებულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს.

შევსების თარიღი 31/10/2022

წარდგენის თარიღი 31/10/2022

ხელმოწერა